ქ. თბილისში, გ. ლორთქიფანიძის ქუჩა № 81 მიმდებარედ (ს.კ. 01.19.22.011.012) ფაბრიკა (სამკერვალო ფაბრიკა) არსებული შენობისა და მიდგმული საპროექტო ნაგებობის მდგრადობაზე

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, გ. ლორთქიფანიძის ქუჩა № 81 მიმდებარედ (ს.კ. 01.19.22.011.012) ფაბრიკა (სამკერვალო ფაბრიკა) არსებული შენობისა და მიდგმული საპროექტო ნაგებობის მდგრადობაზე კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხები ნახევრად მყარი კონსისტენციის, ღია ყავისფერი, თაბაშირის 31-49%-ის ოდენობის ჩანართებით (R_0=1.6 კგძ/სმ²)

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა - 73კგძ/მ²; თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგძ/მ².

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, სართულიანობა 2 სართული, არ გააჩნია მიწისქვეშა ავტოსადგომი.

არსებული ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია კონტურზე რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოები, მონოლითური სართულშუა და სასხვენო გადახურვებით.

საპროეტო ფაბრიკის კონსტრუქციული სქემა წარმოადგენს შერეულს, მონოლითური რკინაბეტონისა და ლითონის კარკას. გრძივი მიმართულებით არსებულ შენობასთან გააჩნია სეისმური ნაკერი.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია მონოლითურ რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკველი. გეგმაში ცვალებადი ზომებით, სიმაღლით 60 სმ. ბეტონის კლასით B20. განლაგებულია ერთ დონეზე.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 30X30 სმ. ბეტონის კლასით B25. ლითონის HEA პროფილის.

რიგელები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 30X50 სმ. ფილის სისქის ჩათვლით.

სართულშუა გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 16 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

კედლები, ,,სენდვიჩ პანელები“ რომელიც კარკასის სვეტებზე ჭანჭიკებითაა დამაგრებული.

კიბეები - ლითონის კონსტრუქციები, ირიბანები შველერი №16.

გადახურვა, მონოლითური რკინაბეტონის რიგელებით. ბეტონის კლასით B25.

არსებული შენობის გადახურვა, ლითონის ფერმები.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქ. თბილისში, გ. ლორთქიფანიძის ქუჩა № 81 მიმდებარედ (ს.კ. 01.19.22.011.012) ფაბრიკა (სამკერვალო ფაბრიკა) არსებული შენობისა და მიდგმული კორექტირებული საპროექტო ნაგებობის მდგრადობაზე პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,,ლირა“-SAPR 2013 გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული

დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში,

СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

მშენებლობის პერიოდში სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში არსებული ნორმებისა და წესების მკაცრი დაცვით.

დასკვნა: ამრიგად ქ. თბილისში, გ. ლორთქიფანიძის ქუჩა № 81 მიმდებარედ (ს.კ. 01.19.22.011.012) ფაბრიკა (სამკერვალო ფაბრიკა) არსებული შენობისა და მიდგმული საპროექტო ნაგებობის მდგრადობაზე პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, არსებულ შენობის მზიდუნარიანობაზე და მდგრადობაზე ზეგავლენა არ ექნება. პროექტი შესრულებულია საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,

საინჟ. მეცნ. დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**

03/11/2019

მობ. 593 28 34 58